სასოფლო გაზეთი

გაზეთის ფასი:

გაგზავნით თფილისში	გაგზავნელთ:
ერეულ ადგილებში:	
ერთი წლისა — 4 მ.	— 3 მ. —
ნახევარი წლისა—3 —	— 2 მ. —
სამი თვისა —1 მ.	— 1 მ. —

მეექვსე წელიწადი

გამოდის თვეში ორჯერ

ხელის მოწერა მიიღება: თფილისს «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კონტორაში, გ. წერეთლის და ამს. (დუბელირი სტამბაში, ხანის ქუჩა), პეტერბურგის სანდეში თფილისის კრებულ მცხოვრებთათვის ადრესი- *Въ Тифлисѣ, въ контору редакціи СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ: при типографіи Г Церетели и к°. (Дубелира).*

№ 4 ოქტომბერი — VI — 15 თებერვალი, 1873 წ.

შინაარსი:

სასოფლო სამხანაგო ბანკი.—საქართველო: ბაზინო ტუეების მცველებზე—სვანეთზე.—სასოფლო სალაპარაკო წყვლები. ქონის კეთილდ.—ბედი სენის კეთილობა ბომბასში.—საბუნების კეთილ—ლაქების კეთილ.—ფილის კეთილ.—წყლის ეფექტი, საქმეთა შენიშვნები.—მოხელეობა:—ფოფლისაგან ღვინის კეთილ —ყმაწვილების სასადილის გაბნევაზე თფილისში. კანცელარია პირუტყვეს წაძღომაზე.

სოფლის სამხანაგო ბანკი.

პირველი საუბარი რამ ბანკებთან.

IV. *)

დიდი ხანი არ არის, რაც რუსეთში დაიწყეს სასოფლო საამხანაგო ბანკების გამართვა. როგორც წინათ ვთქვეთ მართალია რუსეთში სასოფლო ხაზინები იყო ოფიციოზ წელიწადი, მაგრამ სარგებლობა არ მოუტანეს ხალხსა იმ მიზეზებისა გამო, რომელიც ამას წინათ ჩამოვთვალეთ. ამ უკანასკნელ ხუთ წელიწადს რა კი გაიმართა საამხანაგო ბანკები, სულ უკეთესათ მუშაობს და ხალხსაც სარგებლობას აძლევს.

ფულით, სესხით ხელის გამართვა ყველას უნდა, ყველა ლაპარაკობს, ყველა გრძნობს, რომ ბანკის გამართვა საჭიროაო. ჩვენში მეტადრე ამ უკანასკნელ წლებში ბევრსა ლაპარაკობენ. ამ ხუთი ექვსი წლის წინათ ქალთლიდგან გაზეთში იწერებოდნენ, რომ ხიდის თავში ბანკი იმართებაო და ეხლა კი არაფერი არა ისმის რა მართალა გაიმართა თუ არა ეხლა კიდეე ამბობენ ოძისში იმართება ბანკიო. ეს ამბები ძალიან სასიამოვნოა, ყველა კეთილის მსურველ კაცს ნუგეშათ ეძლევა, რომ ხალხში ამისთანა საქმეებზე ლაპარაკია.

მაგრამ მაინც და მაინც ამ საქმისათვის ორი რამ საჭიროა სათქმელი გვაქვს.

ერთი ისა, რომ ზოგიერთი კაცები გამოდიან და იძახიან, რომ სოფელში გლეხობამ როგორ უნდა დაიჭიროს თავი ბანკის საქმეშიაო. გლეხებმა არა იციან რა ავისა და კარგის ანგარიში, თვალ-ყურს ვერ ადევნებენო, საქმეებს აურ-დაურევენო და ბოლოს უბანკოთ დარჩებიანო, როგორ შეიძლებაო, რომ თითონვე გლეხებმა ბანკის საქმე ამუშაონო და კარგათ ჰმართონო.

ამისთანა მოლაპარაკე კაცები რუსეთშიაც იყენენ, მაგრამ ეხლა და ეხლა გამოჩნდა რომ ერთი დიდი თავის ხეთქა და ფილოსოფოსობა არა სდომებია ბანკის მართვასა. რუსეთის გლეხებიც ჩვენის გლეხებისთანანა კაცები არიან; ეხლა ისინი ძალიან კარგათ ამუშავებენ ბანკსა, მალე მიხვედრილან ბანკის საქმესა, თვალ-ყურსაც ადევნებენ კარგათ და საქმეები ძალიან წმინდათ და ანგარიშიანათ მიჰყავთ. ეს საამხანაგო ბანკები რუსეთში ერთსა და ორ ადგილას კი არ არის გლეხობის ხელში, ოცდა თორმეტს სოფელშია ყველგან გლეხები ამუშავებენ და აგერ რამდენიმე წელიწადია თან და თან უფრო და უფრო აკეთებენ, უმატებენ ფულსა. სულ კი გლეხი კაცობის ხელშია მოდი და თქვით, რომ გლეხკაცს არა შეუძლია რაო.

რასაკვირველია, პირველათ ბანკის გამართვაში მცოდნე ნასწავლი კაცი უნდა, რუსეთშიაც ასე იყო და ჩვენშიაც ასე უნდა იყოს. მაგრამ ვინც ბანკის გამართვას ითავებს იმან კარგა უნდა შეატყოს რუსეთის სოფლის საამხანაგო ბანკების საქმეების გარემოება და ეთანარება. რუსულ ენაზე სხვა და სხვა წიგნებია დაბეჭდილი, ესენი უნდა იკითხოს და მოთავე კაცი სიფრთხილით შეუდგეს საქმესა. მინისტრისაგან ბევრი სხვა და სხვა კანონებია დამტკიცებული ბანკისა. ესენი უნდა გაარჩიოს და რომელიც უფრო ჩვენს ადგილობრივს გარემოებას შეეფერება, ის თუ უნდა ამოარჩიოს, თუ მსურველი ვინმე გამოჩნდა გლეხობაში, რომ ეს საქმე იკისროს და ან რუსული არ იცის, ჩვენ «სასოფლო გაზეთსა» შეატყობინონ და მიწერ მოწერით და მოლაპარაკებით შეატყობინებთ რაც საჭიროა.

ესენი აქ ამიტომა ვთქვით. რომ ჩვენში ზოგიერთს კაცებს არც არა რიგიანათ საქმე ესმისთ და მოჰყვებიან მითომ რისამე გამართვას, გამართვენ კიდეკა ბოლოს კი არ მიადევნებენ, და ღმერთმა იცის, როგორ რას

*) თავი ნახე № 1 და 2.

კ. მარეთის სახ. ს. ბ. ... სახელმწიფო რეპუბლიკა ბიბლიოთეკა

გამართვენ. ამიტომ ვამბობთ, რომ სიფრთხილეა საჭირო ამისთანა კაცებისათვის. მეორეთ საჭიროა მოთმინება და სიბეჯითე საქმისა, საქმე ერთისა და ორის თვით კი არა კეთდება, ბევრჯელ წელიწადები უნდება.

ამას გარდა ბანკის გამართვაში მოთავე კაცი ადგილობრივ სოფელში უნდა იდგეს, რომ მუდამ შემოჩევაში გლეხებს აჩვენოს ყოველივე საქმე, აუხსნას ჩააგონოს, რომ ბოლოს თითონ გლეხებს შეეძლოთ თავისთავათ საქმის ასრულება. ყოველი საქმე თუ ბეჯითად შეატყობინა მოთავემ გლეხებსა, გლეხბი მალე მიხვდებიან ბანკის მართვასა და შემდეგ არავისი შემწეობა აღარ მოუნდებათ.

კიდევ ვიტყვით, რომ ბანკის გამართვის დაწყებაში მოთავე კაცი ბეჯითი უნდა და თავ გამოდებული. რუსეთში ყველგან ასე იწყობოდა ბანკების გამართვა და კარგათა და მკვიდრათ იმიტომ არის სოფლის საამხანაგო ბანკების საქმე, რომ ბეჯითი კაცები თაოსბდნენ ამ საქმესა და ბეჯითათ აგონებდნენ გლეხებსა. მკვიდრათ დაწყებული საქმე მკვიდრათ წავა.

სოფლის ბანკის გამართვის მსურველთათვის და გლეხების საცოდნელათ დღეის შემდეგ ვთარგმნით ერთს საამხანაგო ბანკის კანონსა და იმის ახსნას დაურთავთ. ჯერ წინათ ახსნასა ვთარგმნით «მოსკოვის სამეურნეო საზოგადოებისას». მერე თვით კანონსა და ბოლოს დამატებასა. იმედი გვაქვს რომ ჩვენის გლეხობისათვის საცნობლად და ბანკის გამართვის მსურველთათვის საჭირო იქნება ყოველივე მოხსენებული. ჩვენი სურვილია, რომ მკითხველმა ყურადღება მიაქციოს სასოფლო ბანკის საქმესა და ღონის ძიება მოიპოვოს გამართვისათვის.

პეტრე უმიკაშვილი.

(შემდეგი იქნება.)

საქართველო

გაზეთ «დროებაში» დაბეჭდილი ქართული სახაზინო ტყეების მცველებზე, თუ როგორ აიწროებდა ისინი სახაზინო გლეხებს ტყის გამოტანის დროს. უფ. ჭალელი იმდენათ გულშემაწუხებულს ამბებს სწერს, რომ ჩვენიგაზეთი დიდის სიამოვნებით ბეჭდავს მთლად იმის სტატიას.

მას აქეთ, რაც საეკლესიო ქონება შეაერთეს სახელმწიფო ქონებასთან, ტყეებს მაშინვე ლესნიჩები დააყენეს, რომელთაც უნდა დაიცვან ეს შეერთებული ტყეები, რომ კერძო მამულის მეპატრონეთ არ მიითვისონ, ანუ უბრალოთ არავინ გაჩეხონ და წაახდინონ. ამის გამო ლესნიჩს ჰყავს ტყის ყარაულები, ამათ უნდა იცოდნენ, ვინ რამდენი საჟენი შეშა ანუ სხვა მოსახმარი ხე-ტყე გაიტანა ტყიდამ, ვის რამდენი ურმის შეშის ბილეთი აქვს, რომ იმაზედ მომეტებული არავინ გაიტანოს და იმის დაგვარად გადაახდევინონ დაწესებული ფასი, სასარგებლოდ ხაზინისა.

ჩვენი ტყის ყარაულები, როგორც ძველი დიანბეგის ხელში დაგეშილები, ძალიან ბოროტათ ხმარობენ თავიანთ უფლებას. როცა ამ ყარაულებს ქეიფის გაწევა მოუნდებათ, მაშინვე გაგზავნიან თავიანთ ხელ-ქვეცით ყარაულებს სოფლებში, რომ ქეიფის გასაწევეელი სურსათი იშოვნონ; ესენიც მიდიან, ზოგს ძალათ ართმევენ პურს, ღვინოს, ქათამს და სხვას, ზოგს თუნდაც არ ჰქონდეთ, ძალათ აშოვნინებენ და გასწევენ ქეიფს.

თუ რომელიმე გლეხ-კაცი ამაყათ დაუდგა და არ მიუტანა ძღვენები ტყის ყარაულებს, მაშინ ვაი იმას! მოუკრეფამენ შარსა და ეტყვიან: შენ ტყეში შეშა მოგიპარავსო და ნედლი ხე მოგიჭრიაო. ეს საწყალი კაცი ეფიცება, რომ არ მომიჭრიაო, მაგრამ ისინი კიდევ მაინც თავისას გაიძახიან, დაუძახებენ მამასახლისს, შეადგენენ აქტს, მოაწერინებენ ამ აქტზედ ხელს და გაუსევენ იასაულებსა და დაარბეინებენ ტყუილად მართალ კაცსა. მე თვითონ ვნახე ჩემის თვალით, რომ ყარაულებმა ერთი გლეხი-კაცის სახლში გლეხებისგან წართმეული ღორები დაკლეს და გაიყვეს შუაზედ. ამას გარდა ხან და ხან ოხხარსაც გააკეთებენ ხოლმე და მთელ

სოფლის ხალხს მოიწვევენ... როცა ხალ[illegible]
გაათავებენ, ყარაულები გლეხ-კაცს სა[illegible]
თაოთ ჰკითხავენ ხოლმე, შენ რამდენ კო[illegible]
პურს მოგვცემო და შენ რამდენ კოდს ქ[illegible]
საო. გლეხ-კაცებიც, ეშინიანთ რა, რომ [illegible]
საქონელს ყარაულებმა ტყეში არ მოუსწ[illegible]
და არ მოუკლან, შინდებიან და აძლ[illegible]
ზოგი კოდს, ზოგი ნახევარ კოდს, ზოგი [illegible]
დენსამე ჩანახს და სხვ. ასე სტანჯამენ [illegible]
საწყალ გლეხებსა. .....

იქამდისინ შეაწუხეს ტყის ყარაულ[illegible]
გლეხები, რომ ზოგიერთ სახაზინო გლეხ[illegible]
სურთ, რომ კერძო მამულის მეპატრონეთა[illegible]
აილონ ტყეები და მამულები და კიდეც ი[illegible]
მსახურონ... თუ ეს ასე მოხდა, მაშინ, ამ [illegible]
რაულების წყალობით, ძალიან ბევრს ს[illegible]
გებლობას კი ნახავს ხაზინა ზოგიერთი სო[illegible]
ლის ტყეებისაგან!

ყოველივე ეს, უფ. რედაქტორო, გაც[illegible]
ბეთ იმისთვის, რომ იქნება, ვისიც რიგია, ი[illegible]
წაიკითხოს და ჯეროვანი ყურადღება მი[illegible]
ციოს ამ ყარაულების ბოროტ-მოქმედებას. [illegible]
ეს ამისრულდა, სხვაც აღარა მინდა რა.

სვანეთზე

ზოგიერთს ჩვენს მთიულს ხალხებში გა[illegible]
ნათლებლობისგამო სისხლის ძიება იმდენ[illegible]
გახშირგბულია, რომ ყოველი უბედურ[illegible]
ამ ჩვეულებას მოაქვს მთიულ ქართველებ[illegible]
ცხოვრებაში. ამას გვიმტკიცებს «დროებაშ[illegible]
დაბეჭდილი უფალი დადუანის კორრესპო[illegible]
დენცია სვანეთიდამ, რომელსაც აქვე ვბ[illegible]
დავთ.

ვთქვათ, ერთს სვანს დაებადა ქალი და
დროსვე მეორეს ჰყავს ვაჟი ცოლ-დაუნიშ[illegible]
ვი. ვაჟის მამა, სანამდი მონათვლენ ქალ[illegible]
წაიღებს ჩვარში გახვეულს ტყვიასა და შ[illegible]
ბამს ქალის აკვანს იმ განზრახვით, რომ უ[illegible]
თუ წამართვა ვინმემ ვაჟის საცოლო და
ქალის პატრონმა არ მომცა, მაშინ უსათუ[illegible]
ამ ტყვიით მოვკლა ჩემი დამლუპველიო. რ[illegible]
ცა ქალი ზრდას დაიწყებს, სიძე მიუყვანს ე[illegible]
რგ ხარს, რომელიც უნდა იყოს იმის [illegible]
კა

ქე, რაც ქალს მოუნდება გათხოვებამდი. რო-
ა ქალი ათი-თორმეტი წლის შეიქნება და
რგი გამოვიდა, სიძე შორე-ახლო ყურს უგ-
ებს—არავინ მომტაცოსო, და თუ კი ზაბუ-
გამოვიდა, საქმრო მაშინათვე მიატოვებს
თავის საცოლოსა და სხვას შეირთავს. მა-
რამ ამ შემთხვევაში ის უნდა ელოდეს უსა-
უოდ სიკვდილს თავის პირველი საცოლოს
ტრონისაგან, რადგანაც ქალის მიტოვება
მობლებს ძრიელ სირცხვილათ მიაჩნიათ.

ქორწინების დრო რო მოაწევს, სიძემ უნდა
ისცეს ქალის პატრონს ქალის ფასი, რომე-
იც გლეხისათვის 120 მანეთის საქონელია
აწესებული და რომელსაც ეძახიან «ნაჭუ-
ლოშს.» აზნაურიშვილმა კი 260 მანეთის
აქონელი უნდა მისცეს. მშობლები ქალს
რთ წყვილ ტანისამოსის მეტს არარას გაა-
ტანენ, და ამიტომ ის მუდამ საწყლად რჩება,
რადგან შემდგომაც ქმარს იმან უნდა ჩააც-
ვას და არა ქმარმა ცოლს, როგორც სხვაგან
თუ სასიძომ «ნაჭურლაში» დროზედ არ
ცა, ქალსაც არ მისცემენ. ჯვარის დაწერა
მოხდება იმ ღამესვე რა დღესაც «ნაჭულაშს»
მისცემენ.

ჯვარის დაწერა უმეტეს ნაწილად სახლებში მოხდება ხოლმე და არა ეკკლესიებში; ამ დროს ქალი დიდ პატივს ითხოვს და არ უნდა ჯვარის დაწერა: ის ხან ტახტს ქვეშ შეძვრება და ხან კარში გავარდება და იმალება. მართლადაც ზოგიერთებს ძალიან მცირეწლოვანს დასწერენ ხოლმე ჯვარს. ჯვარის წერაზედ ორ კაცს უკავიათ ხელში სატევრები და უქნევენ ცოლ-ქმარს; მათის აზრით, ამ დროს ეშმაკი მოვაო და რადგან სატევრებს უქნევთ, ველარ მოეკარებაო; რამდენჯერაც მღვდელი კვერექსს იტყვის, იმდენჯერ დაჰკრავენ ბეჭებზე.

ამ გვარი ჩვეულებისაგან ჩვენში ძალიან ბევრი უბედურება ხდება. 1867 წელს, ერთს აზნაურიშვილს მამა მოუკვდა, რომელსაც დარჩა შვილები პირველი ცოლიდგან; სხვათა შორის უფროსი შვილი დარჩა უცოლოთ და ცოტა ხანს შემდეგ, ამან დაიწერა ჯვარი თავის დედის-ნაცვალზე, რადგან ამას აქაურების ჩვეულება არ ეწინააღმდეგება. შემდეგ რამდენიმე ხანისა ამ კაცს მოუკვდა თავის საშუალი ძმა, რომელსაც დარჩა ახალ ნათხოვარი ცოლი; მაშინ იმან მიატოვა თავისი ცოლი, ე. ი. დედის-ნაცვალი, და თავის რძალზე დაიწერა ჯვარი.

იმავე წელში ერთმა აზნაურმა წაართვა თავის მეზობელს ცოლი; და ამიტომ უწინდელი ქმარი მოკვლას შეპირდა აზნაურისშვილს, და მართლადაც ერთ საღამოს, როცა აზნაურისშვილი მარტო იყო, მიუხტა სახლში და დაამგერა გულში ორი ტყვიით გატენილი თოფი. გამარჯვებული წამოვიდა სახლში და შინაურებს ახარა მტრის დამარცხება. როცა ვისმესაგან მოკლულ კაცს დამარხავენ, მკვდრის პატრონები ოთხჯერ ან ხუთჯერ თოფს ისვრიან, რომლითაც შეატყობინებენ თავის მტერს, რომ შეუძლიანთ მათ მაგიერი გადახდა. როცა ის ზემოხსენებული კაცი დასამარხავათ წაასვენეს, მისმა მონათესავეებმა ისროლეს თოფები. აზნაურის ძმა მარტოხელი დარჩა და ზაბუნი კაციც იყო, ასე რომ კაცს კი არა, ბუზსაც ვერ მოკლავდა და ამიტომ რადგანაც იმას თავისი ძმის მკვლელის მოკვლა არ შეეძლო, თუმცა სისხლის ფასს აძლევდნენ, მაგრამ ის არ კადრულობდა და ამბობდა: უსათუოთ მე უნდა მოვკლაო. ერთ დღეს იმან დაპატიჟა ერთი თავისი ნაცნობი კაცი, რომელიც ძრიელ დაათრო და გაგზავნა თავის მტერთან, რომელიც ამ დროს მწყემსამდა საქონელს და ბუდიდგან ამოღებული თოფი ჯოხის მაგიერათ დაბჯენილი ჰქონდა. ამ დროს უცფათ მოხვდა მას ზურგში თოფი და იქვე წაიქცია და რადგანაც მკვლელი ახლოს იყო, წაქცეულმა კიდევ მოასწრო თოფი და დაამგერა იმასაც გულში და თავის მკვლელიც თანვე წაიყვანა.

აქედამ გაიგებთ თქვენ, თუ რამდენი კაცი იხოცება ამგვარ ჩვეულებით ჩვენს სვანეთში და რამდენი სილარიბის და გასაჭირის მიზეზი მიადგება საწყალ ღარიბ კაცს, რომელსაც არ შეუძლია, არამც თუ ცოლის ყიდვა, არამედ დღიურ ლუკმასაც ვერ პოულობს...

სოფლის მაღაზიებზე.

ჩვენ დროში, როდესაც ამისთანა ძვირი საშოვარია მუშა კაცი, რომელსაც დიდი გავლენა აქვს სასოფლო მეურნეობაზე, ძალიან კარგი იქნება, რომ პურის მოსამკელათ ნამგალის მაგიერათ ცელი იხმარონ. როგორც შენიშნულია ცელი უფრო მალე მომკის კაცი და უფრო ცოტა ხანიც მოუნდება ვინამ ნამგლით. ამის ასრულება პირველში ძალიან ძნელი იქნება, რადგან ჩვენი გლეხ-კაცი ადვილათ ვერ დააგდებს თავის ძველებურ ჩვეულებას. ამისთვის მეოჯახე კაცებმა უნდა იხმარონ შემდეგი ხერხი: დააყენონ სამუშავოთ იმ სოფლის კაცები, რომელნიც ცელს ხმარობენ კარგათ და მოამკევინონ თავიანთი პური. ამითი ადგილობრივი მუშა კაცების ძალა დამცირდება. ამას მერმე ყველა ეცდება მე მგონი, რომ ცელი იხმაროს ნამგალის მაგივრათ მომკელების წასახალისებელათ და საჭირო სამეურნეო საგნების გასავრცელებლათ უნდა დაინიშნოს მკა ორ ახლო მდებარე სოფლებში. რასაკვირველია ყოველი მათგანი ეცდება აჯობოს მეორეს. საჩუქარი უნდა იყოს შემსდგარი იმისთანა საგნებისაგან რომელიც გააუმჯობესებს სასოფლო მეურნეობას.

ყველა ჩვენგანმა იცის, რა ნაირათ ატყუვებს ვაჭარი ჩვენ ხალხს, მეტადრე გლეხ-კაცებს. ვაჭრებმა კარგათ იციან, როგორ გაჭირვებაში არიან გლეხ-კაცები და მიდიან იმდროს მათთან, როდესაც ამ უკანასკნელებს სახელმწიფო ფული აქვთ შესატანი. რასაკვირველია ამ დროს რაც ფულს დაუნიშნავს ვაჭარი იმათ, მეტი ღონე არა აქვსთ, უნდა მისცენ. თუ არ გაყიდა, ვაი მისი ბრალი! რითი გადიხდის სახელმწიფო ფულს, ამისთანა გლეხ-კაცი უნდა მოელოდეს, რომ რამდენიმე ხანს იქით თითონ და თავის ცოლ-შვილი შიმშილით უნდა დაიხოცონ, რადგან იმას გაუყიდიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელ ძროხას ანუ ცხენს, რომელიც არჩენდა მთელ სახლობას.

რო იცოდეთ, რა ადვილია ამ უბედურების თავს გადავლება, თუ კი ერთ მანეთს მისცემთ ხელს და ერთ მეორის დანდობა გექნებათ!

რა იქნება, რომ მემამულეებმა შეაგროვოთ ფული და ააშენონ საერთო ბეღლები პურის დასაწყობლათ იმისთანა ალაგებს, სადაც ადვილი იქნება იმის გაყიდვა ესე იგი რკინის გზის სტანციების ახლოს და ქალაქების სიახლოვეს. თქვენ შორის ამოირჩიეთ მოურავი, მისი ამხანაგი და ხაზინადარი. თუ ესენი არ მოგეწონებათ ყოველ დროს გამოცვლით. წლის თავზე ამორჩევა უნდა დანიშნოთ და შეგეძლებათ დასტოვოთ უწინდელივე მმართველები, თუ კი მოგწონან, ამათი ჯამაგირი მთელმა ყრილობამ უნდა დაუნიშნოს. ბეღლის გასაღები უნდა ებაროს მოურავს და ბეჭედი ხაზინადარს.

საქონელი უნდა მიიღონ მოურავმა, ხაზინადარმა და ერთი რჩევის წევრმა.

ერთხელ მიღებული საქონელი უკან არ უნდა დაბრუნდეს-

საქონელი უნდა აიწონოს; თითო ჩეთვერზე ოთხი მანეთი უნდა მიეცეთ, რადგან გლეხკაცისთვის ფული ყოველთვის ძალიან საჭიროა. საქონლის მიღების მერმე კვიტანციას პატრონს მისცემთ.

მოურავი უნდა ეცადოს, რომ მოგებით გაყიდოს საქონელი.

გაყიდული საქონლის ფულიდამ უნდა გამოირიცხოს ის ფული, რომელიც წინდაწინ მიუციათ. დანარჩენი ფული უნდა გაეყოს საქონლის პატრონებს შუა ხუთის თავის გამოკლებით. ამათგანი ათის თავი სულ თავნათ და ათის თავი სახარჯოთ.

როდესაც სულადი თავნი მოგროვდება დანიშნულ რიცხვამდი, იმის მერმე ნამეტანი ფული რჩევის გადაწყვეტისამებრ, უნდა დაურიგდეს უფრო გაჭირვებულებს.

შენახული ფულის სარგებელი რჩევის გადაწყვეტით, უნდა დაინიშნოს სასოფლო მეურნეობს გასაუმჯობესებლათ.

სახლები, რომელშიდაც იქნება დაწყობილი საქონელი რასაკვირველია უნდა იყოს ცეცხლისგან უშიშარი.

საჭირო საოჯახო სწავლება

რა ნაირათ შეიძლება ცუდი სუნი გააცალოს კაცმა ქონს და ისე შეინახოს, რომ არ წახდეს. ცოტათ წამხდარს ქონს, ან ახალ ქონს, რომ კვლავ არ წახდეს აადუღებენ წყალში. წყალი ბევრი არ უნდა იყოს, და შიგ ჩაყრიან მარილსა და შაბს იმდენს, რომ ყოველ ოც გირვანქა ქონს სამოცი მისხალი მარილი და ოცდაათი მისხალი შაბი ექნეს; მოდუღებული ქონი ქაფს მოირთმევს და მოხდიან ხოლმე გულს მოდგინეთ. როცა ქაფი გამოელევა, გადიღებენ ქვაბს და ქონს გააცივებენ, გარეცხენ წყალში რამდენჯერმე და ნელ-ცეცხლზე ისევ გაადნობენ და ამყოფებენ, მანამ წყალი სულ ოხშივრად არ გადაიქცევა. ამ ნაირათ გადაკეთებული ქონი ძალიან კარგათა პომადის მოსამზადებლათ; განსაკუთრებით ისეთი ქონია კარგი პომადისათვის, სადაც რქიან საქონლის ქონი ერთი წონა ორ წონა ღორის ქონშია გაქნილი და შედუღებული ამისთანა პომადა ზაფხულში სიცხისაგან ძალიან არ ლხვება და ზამთარში არ მაგრდება.

ც უ დ ი ს უ ნ ი ს გ ა ქ რ ო ბ ა გომებში. ცუდი სუნი გომებში ერთი რომ პირუტყვებისათვის ძალიან საზიანოა და მეორე თუ გომს ზემოთ სადგომი სახლია, იქ ადის და მცხოვრებლებს აწუხებსო, ამის გამო აქ სუნის გაქრობა ძლიერ საჭიროა. აი, ძალიან კარგი და იაფი წამალი, რომელთაც შეიძლება გომში სუნი გააქრონ. უნდა შეაერთო ერთმანეთში კარბოლის ძმარი და გოგირდძმარია მგნეზეა (აფთეკაში იკითხე ამნაირათ: კარბოლოვაი კისლოტა და სერნოკისლაია მაგნეზია). ამ წამლის თუთხმეტი მისხალი ყოველ დღე უნდა მოჰფინო გომის იატაკზე და სრულებით საკმაო იქნება, რომ გააქროს ცუდი სუნი საჯინიბოში ან ბოსელში.

* * *

ხ ი ს ჭ უ რ ჭ ლ ი ს გ ა ს ა ფ ი ს ა ვ ი. ძალიან კარგი ფისი გასაგლესათ გაბზარულ ხის ჭურჭლებისა აი, როგორ კეთდება: აიღებენ თანასწორს ნაწილს ხის ფისს, ხარის სისხლს, სელის ზეთს, სკიპიდარს (აფთიაკში იკითხე) და წმინდათ დანაყილს აგურსა. ამ მასალებს ერთად შეაზავებენ, ტაფაზე გაალხობენ და ჩაასხმენ ჭურჭლის ნაბზარებში. თუ დაბზარულები ძალიან პირდაღებულია, წინდაწინ უნდა დაჭვენტო ფარატინებით, ან ნაჭრებით და მერე შიგ ჩაასხმენ.

* * *

კ ვ ე რ ც ხ ი ს ს ა პ ო ნ ი. ერთ გირვანქა თეთრ მაგარ საპონს დაჭრიან ჩაასხმენ ექვსი კვერცხის ცილს, მერე დანაყენ სპილენძის ან ხის როდინში სანამ სულ ერთ ნაირ ფაფათ არ გადაიქცევა, მერე იმაში რაიმე სუნიანი ზეთს მიუმატებენ, ერთ კოვზს სპირტს და გორჯილის მეოთხედ მისხალს, დანაყვენ წმინდათ, შეურევენ. კიდევ ერთად დანაყვენ კარგად აზელენ ერთმანეთში და მერე ჩამოასხმენ კალაპოტებში, გააშრობენ და საპონი მზათ გამოდის. ამისთანა საპონი კარგათაც აცლის ჩირქს, არბილებს კანს და მზისგან დანამწვარსაც აცლის.

მ წ ვ ა ნ ე ს ა პ ნ ი ს კ ე თ ე ბ ა. რიცა უნდათ ძალიან ქაფიანი საპონი, მაშინ მწვანე საპონს აკეთებენ და არც არის ძნელი იმის კეთება. გასასყიდათ რომ მწვანე საპონია, იმას აკეთებენ კანაფის, სელის ზეთებისა და თევზის ქონისაგან. ძროხის ქონიდგანაც ადვილათ გაკეთდება.

ამისთანა საპონს ქვე მოხსენებულ ნაირათ აკეთებენ: გამდნარს ქონს ან ზეთს ჩაასხმენ ქვაბში, ისე რომ ქვაბი ნახევრამდის მოიყაროს, ცოტათ გაათბობენ და მიუმატებენ სამ გირვანქა ნაცარწმულს ან წიდას (პატაშს. აფთიაკში იკითხე). ეს მასალები სულ ორ მესამედზე უნდა იყოს მოყრილი; ადუღებენ სანამ კოვზით ამოღებული არ გ დმოისხმის სქლათ და არ იწელება; მერე ცოტ-ცოტათი ასხმენ ნაწარწმულს, რომელსაც აკეთებენ შემდეგ ნაირათ: ერთს ვედრო წყალს ექვს გირვანქა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიდას უზმენ, სანამ ამ საპნის ერთი წვეთი გამსჭვერ მინაზე დასხმული წმინდა გამსჭვერი არ იქნება და სწორათ არ ჩამოსოსდება ძირს. მაშინ საპონი მზათ არის. მოდუღების ნიშნათ ისიც კმარა, როცა ქაფის ასვლის მაგიერათ თანდათან ძირს დაიწყებს წევას საპნის ცომი.

ლ ა ქ ი ს კ ე თ ე ბ ა: ლაქი მწერლობაში წიგნების დასაბეჭდათ ძალიან სახმარისია ცხოვრებაში. მაგრამ სამწერლოსა და სასამართლოებს გარდა შინაურ ოჯახობაშიაც ბევრ ნაირათ იხმარება. ამისთვის ოჯახობაში იმის კეთების ცოდნა გამოუდეგარი არ იქნება. ლაქის მოსამზადებლად შემდეგი მასალებია საჭირო: გარპიუს, ტერპენტინი, სკიპიდარი, მელი და სხვა და სხვა სალებავი ნივთიერება. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ფერის გინდა იყოს ლაქი. ეს ზემოხსენებული მასალები აფთიაქში უნდა მოიკითხო და იქ იშოვნი.

აი, როგორ აკეთებენ ლაქს:

გარპიუსს დანაყვენ სპილენძის როდინში და შეურევენ ხის ფისში, რომელსაც ჰქვია ტერპენტინი. აგრეთვე სკიპიდარსაც და დაუწყებენ თუჯის ქვაბში გაცხელებას. სანამდის ორთქლის ბუშტები სულ არ ამოიცლება მერე წინათვე შემზადებულს წმინდათ დანაყილს და გაცრილს მელს და სალებავს მიუმატებენ, ცეცხლზე აურევენ ძალიან ერთმანეთში და ცეცხლიდგან არ გამოიღებენ, სანამდის ცოტას არ ამოიღებენ იქიდგან და, თუ კარგათ გძლათ დაიწელა, ის არის. ლაქიც გაკეთებულია. ძალიან კარგათ ლაქისათვის აიღებენ სამ გირვანქა გარპიუსს, სამ გირვანქა მელს ერთ გირვანქა ხის ფისს და მეოთხედ გირვანქა სკიპიდარს და ერთ გირვანქა რამე სალებავს წამალს. საზოგადოთ შენიშნულია, თუგინდა მდარე, ან დაბალი ხარისხის ლაქი აიღო, მომეტებული მელი უნდა უყო და სხვა მასალა ნაკლები. თუ ძალიან დაბალი ლაქი გინდა მაგალითად, ჭურჭლების თავების დასაწებათ, ან სათვალეების დასაკრავათ, მელის მაგიერათ ქვიშა უნდა აურიო. თუ უნდათ ჯოხებათ დააკეთონ ლაქები, ნელთბილი სქელი ლაქი ან უნდა დაარგვალონ სწორ სტოლზე ხელით, ან გძელ კალაპოტში ჩაასხან გალხვალი, მერე რო გაცივდება, ჯოხებათ გამოვა.

ანგლიური ლაქი გირვანქა რომ ორ მანეთად ღირს კიდევ მითია კარგი, რომ არ ელვენთება ალის მოკიდების დროს; კარგი სუნიც აქვს. აქამდის არავის უმხელდენ ამ ლაქის კეთებას, მაგრამ ამ ბოლოს დროს იმის კეთებაც შეიტყვეს.

ოცი წონა წმინდა კინოვარი (წითელი სალებავია, აფთიაქში უნდა იკითხო). ათი წონა ვენეციური ხის ფისი, ანუ ტერპენტინი და ორმოცდა ათი წონა შელლაკი (ესეც აფთიაქში უნდა იკითხო): ამათ აურევენ ერთმანეთში გააცხელებენ ქვაბში როგორც სხვა ლაქს და მერე გადაასხმენ გძელ ყალიბებში

* * *

ხ ე ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ლ უ ლ ი ფ ი ს ი. კარგი ფისი გადაჭრილ ხეებისათვის ამ ნაირათ უნდა: აიღებენ ექვს მისხალს გუტა-პერჩს (აფთიაქში იკითხე) და ერთს გირვანქა ტერპენტინს ანუ ხის ფისს, რომლიდგანაც გაცხელებით რამდენიმე სკიბიდარი აქვს გამოცვლილი; ისე რომ კარგა მაგარია. ამ ნაირს შეერთებულს მასალებს თუჯის ქვაბში ჩადებენ და გაადნობენ. ამასთანავე კარგათ აურევენ იმ განზრახვით, რომ ძალიან ერთ გვარი შედგენილობისა იყოს, როდესაც გალხვალი ცომი გაცივდება იმდენათ, რომ შეიძლება ზედ ხელის მიკარება, მერე დაუწყებენ დაგორგოსალებას. როცა უნდათ იხმარონ, წინდა წინ ხელით დაზელენ, გაწევენ და დაფისვენ ხის ნაბზარებს, ან გადაჭრილს ალაგს.

* * *

წ ე ბ ო ს წ ყ ა ლ ი ხ ე ხ ი ლ ე ბ ი ს გ ა ს ა ღ ო ნ ი ე რ ე ბ ლ ა თ: წებოს ქარხნებში ბევრს წებოიანს წყალს ასხმენ ტყუილ-უბრალოთ და იმითი რომ ხეხილები მორწყან საკვირველათ მოუხდება. მორწყვის წინათ ამ წებოიანს წყალს ერთს იმდენს წყალს კიდევ მიუმატებენ, ჩაყრიან შიგ ნახშირის ფქვილსდა მორწყვენ ხოლმე იმითი ხეხილებს.

* * *

წ ყ ლ ი ს გ ა წ მ ე ნ დ ა რ კ ი ნ ი ს ნ ა დ უ ლ ი თ. უნდა ჩაყარო პარკში დანაყილი რკინის ნადული და შიგ ჩაასხა ლვრიერი წყალი. იქიდამ სულ წმინდა წყალი გამოვა. აყროლებულიც რომ იყოს წყალი, მაინც სუნს დაჰკარგავს, გაიწმინდება და მერე ამისთანა წყალი დიდხანსაც არ ხდება. რისამე საკეთებელათ თუ წმინდა წყალი საჭირო შეიქნა, მაშინ ამისთანა წყლის ხმარება ყველას სჯობია.

კომბოსტოს ანუ ლახანას ძალიან ახდენს სხვა-და-სხვა ნაირი ჭიაბუზი. ყველაზე კი უფრო ახდენენ: კომბოსტოს მიწის რწყილი, კომბოსტოს ტილი და პატარა პეპელა.

კომბოსტოს მიწის რწყილი პატარა ბუზანკალია; ფთებს ქვევით პატარა შავი და ყვითელი ლაქები აქვს. ამის გასაწყობლათ უნდა გადაასხათ კომბოსტოს თუთუნის წყალი. ან ადუღებულ წყალში გაურიე კუპრი მოქაფეთ და მერმე გადაასხით.

კომბოსტოს ტილი სდევს პატარა კვერცხებს ფოთლის მეორე გვერდზე. ამათი გაწყობა შეიძლება თუ რომ ფოთლებს წაუსვამთ საპნის წყალს ან და ჭიის გამოსვლისთანავე უნდა მოვბოჭოთ. ეს უკანასკნელები პატარა პეპლებსაც ძალიან ახდენენ კომბოსტოს მეტადრე მათი ჭიები. ამათ დასახოცათ უნდა მოვაყაროთ კომბოსტოს ფურცლებს ან ნაცარი ან გადავასხათ თუთუნის წყალი.

საექიმო შენიშვნები

ერთმა წარჩინებულმა ნემეცის ექიმმა აღმოაჩინა, რომ ერთ ნაირათ გაკეთებული ბამბა ძალიან ადვილათ შესხლიტავს სისხლის დენასო. უნდა აადუღო ბამბა წიდის წყალში (სოდა-აფთიაქში იკითხი) და მერე უნდა ჩაალბო ქლორიან რკიხის წყალში (ხლორისტოე ჟელეზო აფთიაქში იკითხე). ამისთანა ბამბა ძალიან გამოდგა წარსულ გერმანიისა და საფრანგეთის ომში. მხოლოდ ეს უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღოს კაცმა მხედველობაში, რომ ექიმის ერლეს ბამბა ნამიანდება და ამისთვის ხმელსა და მშრალს ალაგას უნდა შეინახოს კაცმა. ამისთანა ბამბას ან პირდაპირ დაადებენ ჭრილობაზე და ან ჯერ ლეჩაქის ნაჭერს დაადებენ ზედ, მერე ბამბას და სულ ერთიანათ შეახვევენ მაგრათ.

მიწის რწყილის (ანპაწაკალის) გასაწყობი საშუალება. ზოგიერთი მეოჯახეები ძალიან ჰსწუხან, რომ ბაღის მცენარეები ძალიან წაგვიხდინა მიწის რწყილის ჭიებმაო. შენიშნულია რომ ეს ჭია იმ ალაგას ვერ მოეკარება, საცა ხახვი ამოდის. ამ ბოსტანეულის სუნს სიკვდილივით ვერ მიეკარება თურმე მიწის რწყილი და იმის ჭიები. ამისთვის მეცნიერი მებაღე ფელიკე ურჩევს, დათესონ მცენარეები იმ კვლებზე, რაცა ერთი წლის წინათ ხახვი თესილა. ან დათესონ ბოსტნეულები ან ბაღის მცენარეები ყოველგან და გარს შემოათესონ ხახვი ამ ნაირათ მეორე წელიწადს იმ ალაგებში აღარც მიწის რწყილი აღმოჩნდება და აღარც ჭიები; რადგან ხახვის სუნისაგან ვერ მობედავდა იქ მიწის რწყილი, ამისთვის ვერც კვერცხებს ჩაუდებდა იმ კუთხეში და ჭიებიც აღარ იქნებიან. მეორე ძალიან კარგი საშულება მიწის რწყილების გასაწყობათ არის სალამპე ნავთი; ამისთვის ერთს ჩაის კოვზს ჩაასხმენ ერთს დოქს წყალში და იმითი მორწყვენ მცენარეს.

* * *

თუ კარგი ჯიშის ძროხა ხბოს ყოლის შემდეგ არ ახურდა მეორე და მესამე წელიწადსაც, მაშინ უნდა აჭამო ცოტათ შემწვარი შერია.

* * *

თუ არ გინდა, რომ ბალახები ამოვიდეს ბაღის გზებზე, უნდა დააყარო ზედ გაუქრობელი კირი და მერე წაყარო ზედ ქვიშა. რაც უბრალოა ბალახის თესლი იქნება მიწაში სულ ერთიანათ ამოსწვავს გაუქრობელი კირი.

სამეცნიერო ნაწილი.

შესამიანი გველი.

ყოველ გველის ნახვაზე ჩვენ თითქმის უნებურათ მიერბიეართ უკან და ძალიან სიმამაცეთ მივითვლით, თუ კი მოეკლამთ, ორი ან სამი კარგა თავში ჩაკერით. გველის მოკვლის შემდეგ ძალიან კმაყოფილი რჩები შენი თავით. მაგრამ იცით, რამდენი ზარალი მოგიტანეთ ამითი? რასაკვირველია, არა. თუ კი ვიცოდეთ გაურჩეველათ არ დაუწყებდით ყოველ ნაირ გველს კვლას. ბევრი ჩვენგანი ძლო�ს, ხელიკს და შხამიან გველს ერთმანეთში ურევენ. ძლოკეს და ხელიკს ბევრი სარგებელი მოაქვთ იმითი, რომ ჭამენ მინდვრის თაგვს და სხვა ზარალის მომტან ცხოველებს. შხამიან გველს კი ბევრი ზარალი მოაქვს კაცისთვის თავის შხამით და ამისთანა გველის ხშირათ მოკვლა კარგი იქნებოდა. მაგრამ ჩვენ საუბედურითა ვერ ვარჩევთ ერთმანეთში შხამიანს და უშხამო გველებს. რამდენჯერ შემხვდენია ნახვა შიშისაგან გადაფითრებული ქალებისა: არიქა გველი მოკალი! თუ კი ეინმე გულადი კაცი დახვდად რასაკვირველია, ის გაიქცევა გველის მოსაკლავათ და დიდის სიმამაცით ჯოხზე გადადებული ძლოკვით, მოდის დარწმუნებული, რომ მოკლა შხამიანი გველი.

ამის გულის ვის მე ვხდი, საჭიროთ ამ შხამიანი გველის კარგათ გაცნობას, რომ გავარჩიოთ სხვა უვნებელის გველებისაგან.

შხამიანი გველი სამი ტკაველიც არის, უფრო ხშირად ერთ ტკაველ ნახევარია. თავი აქვს პტყელი და გულის ნაირი. კუდ ქვეით ორი წყება ფარები თევზის ქერთლსავით აქვს გაყოლებული. სხვებს კი მარტო ერთი წყება აქვს. თავი ძალიან პატარა აქვს, წინ უფრო ვიწრო აქვს და უკან უფართოვდება. მერე უცებ იწყება ძალიან წვრილი კისერი. თავის კეფიდან დაწყებული ბოლომდი მიდის ორი მიხაკის ფერი ზოლი ნამგალსავით მოხრილი, ამ ორ ზოლს შუა კიდევ მიდის ერთი ნაცრის ფერი დაკლაკნილი ზოლი. ეს ზოლი ძალიან აჩნია და შორიდამაც მოსჩანს. ასე ერთიანი ზოლი არცერთს ჩვენს გველს არა აქვს.

ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რა და რა ფერის არის ეს გველი, მიტომ რომ ძალიან ძვირად ნახავ ამ გვარის გველს, რომ ერთ ნაირი ფერი ჰქონდეს. ამის ფერი არის დამოკიდებული ხანზე, კანის გამოცვლაზე და აგრეთვე იმ ადგილადამ, რა ადგილასაც ცხოვრობენ. მაშ თუ შეხვდესთ ერთი არშინის სიგრძე გველი, ძალიან წვრილ კისრიანი, პატარა გულის ნაირი თავი და ზურგზე ზოლით, ეგ იქნება ჩვენი შხამიანი გველი. ეხლა გავიცნოთ ამის ცხოვრება. როგორც რომ დაიწყება სიცივეები, ე. ი. ოკტომბრის დამლევს მოძებნიან ხოლმე დასაძინებელ ალაგს და მთელი ზამთარი სძინავთ. ესენი იძინებენ ხავსის ქვეშ, ქვებსშუა და ბუდის სოროებში. ხანდისხან რამოდენიმე ერთ ალაგას იძინებს, ამ ძილში ხანდისხან ყივნდებიან, მაგრამ როგორც რომ მოატანს ზაფხულის სული, მაშინვე იღვიძებენ და ძებნიან დედალ-მამალი ერთმანეთს. ოთხ თვის განმავლობაში დედალი ყრის თორმეტს ან ცამეტ გველის წიწილას. ამით განირჩევა სხვა გველებისაგან, რადგან ისინი ჯერ კვერცხს დებენ და მერე გამოდიან. ორსულები დედალი ძალიან მსხვილი და გაუძრეველები არიან, ამითი განირჩევიან მამლებისაგან. გველის წიწილები პირველ შამოდგომას არაფერს სჭამენ, მაგრამ გაზაფხულზე კი იქერ ენ ბუზამკალიებს.

სამი წლის გველი დასრულებულია, ცხოვრობენ ათ წლამდი.

ამ გველს უყვარს ხმელი ადგილები. როცა ცხელი ზაფხულია, უფრო ბევრია, ძალიან ძვირად დაცოცავს, უფრო ხშირად დაიკლაკნება, სწევს მიწაზე. და ითბობს გვერდებს მზეზე. მაგრამ ნურაოდეს ნუ იფიქრებთ იმას, რომ ამას ეძინოს. ეს არის გამოსული საჭმელის საშოერათ, თუ გაიარა მინდვრის თაგვმა ეი მისი ბრალი, ცოცხალი აღარ დარჩება. ამ გველისთვის შიმშილი არაფერს ნიშნავს, მაგალითად დაჭერილი გველი არაფერს სჭამს; მაგრამ ცოცხლობს რამოდენიმე თვე. ერთი სიტყვით, ამ გველს საჭმელი თუ პირში არ ჩაუვარდა, თითონ არ მოძებნის.

ეს გველი ძალიან მხდალია და მისდღეში არ დაეტაკება იმისთანა ცხოველს, რომ

ლსაც იცის ვერ აჯობებს, ზოგიერთნი ამბობენ, რომ ეს გველი თითონ ეტაკება კაცსაო, სულ ტყუილია. ხანდახან, რომ კაცისაკენ მიეარდება ეს გველი, სულ უნებურათ მიდის, მხედველობა ძალიან სუსტი აქვს და ამისგამო მირბის, თითონ არ იცის, საითკენ, ოღონდ თავი კი დაიფაროს. მხედველობა ცუდი აქვს, გემოვნება და სმენა ხომ სულ ცოტა აქვს ამ გველს. ეხლა გავსინჯოთ ამ გველის შხამის შემამზადებელი იარაღის დაწყობილება. თუ გაეღებთ ამის პირს, დაინახავთ, რომ ქვედა ყბასშეა აქვს ჩიბუხის გვარი იარაღი; ამ ორგანის ქვეშ არის ჩაღრუბნული ალაგი, საიდგანაც ყოფს ჩანგალ ნაირ ენას. ქვედა ყბის ორივე გვერდებზე არის გამწკარული პატარა კბილები. ეს კბილები სრულიად უენებლები არიან, ზედა ყბის წინ ორ კბილს ნაკეცზე, დაინახავთ ორ ორ დიდ კბილებს ჩანგალსავით მოკაკულს. ეს წინა კბილები არის შხამიანი. ამ კბილებს აქვს ნახვრეტი წინიდგან. ეს ნახვრეტი თავისუფალათ და მეორე გვერდით უერთდება შხამიან ჯირყველებს, რომელიც არის ზედა ყბის აქეთ და იქით გვერდით. თუ დიდი ხანი არ უკბენია ამ გველს, მაშინ შხამი ექნება კარგა ძალი.

კაცი რომ მოკვდეს ამას გველმა უნდა უკბინოს ექესჯერ ან შვიდჯერ, თუ არა ისე არ მოკვდება. რასაკვირველია, ქალებზე და ყმაწვილებზე უფრო დიდი გავლენა აქვს. ერთი დოქტორი ანბობს, რომ შვიდი წლის ყმაწვილი 17 საათის განმავლობაში მოკვდა ამ გველის კბენით.

მოსელობა.

თაფლისაგან დგინის კეთება,

კარგს თაფლს ძვირათ შეხვდები ბაზარში, და რომ კიდეც იყოს, კარგი თვისებისა ძალიან ძვირათ ფასობს. ამისთვის კარგი თაფლისაგან ღვინისა, ან სასმელის კეთება ოჯახს ხელს არ მისცემს; ცუდი თაფლისაგან მაგალითად გაზაფხულის დაშმორებული თაფლისაგან კეთება კი არ ვარგა, რადგან სასმელს აქვს მჟავე და უგემური გემო, ამისთვის ღვინისათვის ცუდი თაფლი უნდა გაიწმინდოს ამ გაწმენდით თაფლი ჰკარგავს მჟავე გემოს და კეთდება სრულებით. აი, როგორ სწმენდენ თაფლს: აიღებენ, რამდენი თაფლიც უნდათ გასაწმენდათ, გაქნიან სამს იმდენს წყალში, მერე გადაასხმენ კარგათ მოკალულ ქვაბში და ნელა ადუღებენ. ქაფი რომ მოიღოს, ფრთხილათ უნდა მოართვა. უნდა წმინდათ დანაყო მელი და გაცრა, როდესაც თაფლი ადუღდება, ცოტ-ცოტათ უნდა ჩაყარო მელი და მუდამ ურიო ადუღებულს თაფლსა, ამასთანავე უნდა ჰქონდეს ლაკმუსი (აფთეკაში იყიდე), მწვანე ან ფერადი ქაღალდები ზოლებათ დაჭრილი და ხანდახან ყოველ ახალ მელის ჩაყრაზე ჩაჰყავი შიგ, თუ ქაღალდმა ფერი იცვალა, უნდა იცოდე, რომ ჯერ კიდევ სიმჟავე თაფლს არ გაცლია. თუ რომ ქაღალდმა აღარ იცვალა ფერი, მაშინ უნდა იცოდე, რომ სიმჟავე თაფლს აღარ აქვს და მელიც აღარ უნდა. თითო გირვანქა თაფლს თორმეტი მისხალი მელი ეყოფა. თაფლს მოერთმევა სქელი წმინდა სანთლის გვარი ქაფი, რომელიც სიფრთხილით და გულს მოდგინეთ უნდა მოართვა ხოლმე. როცა ამისთანა ქაფი აღარ მოერთმევა, მაშინ წყალ-ნარევს თაფლს გადაასხმენ სხვა ჭურჭელში მელიანა და დადგმენ მყუდრო ალაგას, რომ რაც მელია ძირს დაილეკოს. რაც მელი სულ ძირს ჩაწვება, უნდა გადმოასხა ფრთხილათ, რომ ერთი ფიორი მელიც აღარ გადაჰყვეს ისევ უწინდელ ქვაბში, რომელიც ძალიან უნდა გამორეცხო და გაასუფთავო. მერე თითო გირვანქა თაფლში მეოთხედი გირვანქა ნახშირის მტვერი უნდა ჩაყარო და ორი საათი ადუღო. მერე გაწურეენ შალის ტომარაში, და ისევ ჩაასხმენ ქვაბში და თითო გირვანქაზე ჩააგდებენ ერთს კვერცხის ცილას, რომელიც აქაფებული უნდა იყოს ჯანჯღალით მერე თაფლს გაცხელებენ ისე, რომ ადუღებას არა უკლდეს რა; მაგრამ არ აადუღებენ კი. ამ მდგომარეობაში აღარ მოურევენ. ცილა ძირს ჩაწვება და სულ ერთიანათ გაწმენდს ამ თხელს თაფლს, თუ კიდევ ქაფი გამოაჩნდა თავზე, მოართმევენ და მერე დაუწყებენ დუღებას, სანამ ისე არ გასქელდება, რომ ნამდვილს თაფლის თვისებას არ მიიღებს. ამ ნაირათ გაწმენდილი თაფლი საუკეთესო თაფლზედაც არ იქნება სიწმინდით, მერე უნდა ჩაასხა ან ქვის ჭურჭელში ან მოვარაყებულს თიხის ჭურჭელში და გრილს ალაგას შეინახო. ხის ნახშირის მაგიერათ ძვლის ნახშირი რომ იხმარო, ისე გაიწმინდება, რომ სულ წყალსავით უფერო იქნება.

ამ გაწმენდილ თაფლისაგან, ან საუკეთესო თვისების თაფლისაგან აი როგორ კეთდება ღვინო. სამ ვედრო წყალს სამ მანერკა თაფლს უზმენ. ჯერ ამ თაფლს გახსნიან ექესშვიდ მანერკა წყალში და მერე მთელს ზემოხსენებულს ზომა წყალში გადაასხმენ, სანამ თაფლიან წყლიანა ორი ვედრო არ დარჩება. მერე ამ თაფლს გააციებენ ოცგრადუსამდის, გადაასხმენ სამაჭრე ჭურჭელში, ჩაყრიან შიგ მიხაკსა, ლიმონის ქერქებსა. ვისაც რა გემოსი უნდა და ნახევარ მანერკა პიოს საუუარსა. შემდეგ კი როგორც სხვა ღვინოს უნდა კეთება თაფლის მაჭარსაც ისე მოექცევიან. მხოლოდ ეს არის, რომ თაფლის ღვინოს ძალიან გაწმენდა უნდა. ის უნდა გადაასხა ჭურჭლებში და განწმინდო ან კვერცხის ცილათი, ან თევზის წებოთი.

აი, მეორე ნაირათ კეთება თაფლის ღვინოსი, რომელსაც ხმარობენ ესტლანდიაში და კურლანდიაში:

ოთხმოც წონა თაფლშია, ორასი წონა წყალი უნდა იყოს, აადუღენენ, სანამ ნახევრათ არ დადგება, მიუმატებენ ერთს წონას თხლეს, ან პიოს საუუარს და ერთს წონა თეთრ პურს, გადაასხმენ პაწაწა ბოჭკაში და დააყენებენ ორ დღე და ღამეს; მერე გაწურევენ საცერში, რამდენჯერმე გასწმენდენ თევზის წებოთი და გადაასხმენ მეორე ბოჭკაში. გემოს მოსაცემათ ბოჭკაში ჩაყრიან მიხაკს, იის ძირსა და სხვა ნაირ სანელებელს:

ვენგრიაში გაუწმენდელ თაფლისაგან აი, როგორ აკეთებენ სასმელსა. ნელ ცეცხლზე

შედგმენ ქვაბით წყალს და თბილს წყალში გახსნიან თაფლსა, თაფლის რაოდენობა შეიტყობა კვერცხით: ცალკე ჭურჭელში გადაასხმენ წყალ ნარევს თაფლს და შიგ ჩააგდებენ კვერცხს, თუ კვერცხი დაძირა თაფლი ძალიან ცოტაა, და თუ არ დაძირა და ნახევარი კვერცხი ზევით არის თაფლიან წყლიდგან ამოსული, მაშინ თაფლი მომეტებულია; პირველ შემთხვევაში თაფლი უნდა მიუმატო, მეორე შემთხვევაში წყალი. კვერცხი უნდა ცურავდეს, რომ ხუთკაპეიკიან სიფართეთ უნდა ამოსულიყოს კვერცხი წყლიდგან. ამ შემთხვევაში თაფლმა რაოდენობით რომ კიდეც გადაამეტოს, არა უჭირს რა, რადგან რაც უფრო მეტი თაფლია წყალში გაქნილი, იმდენათ ღვინო უფრო მაგარიც გამოდის.

ყმაწვილების ახალი სნეულება თფილისში.

ამ დღეებში ერთმა ექიმმა მოახსენა საექიმო საზოგადოებას თავის შენიშვნები, ყმაწვილების სნეულებაზე, რომელიც ამ ჟამათ თფილისში არსებობს. ეს სნეულება გადამდებია. ყმაწვილი ჯერ ორ სამ დღეს დაიწყებს მოწყენას და მერე მთელს ტანში აუტყდება ტკივილები; მის შემდეგ ყმაწვილს გამოყრის ტანზე, ესე იგი მთელი ტანი ეფუთქება, ზოგია პაწაწა ლომის კაკლის ტოლა აფუთქული და ზოგი მუხუდოს ოდენიც იქნება. შემდეგ ყოველს აფუთქულს გარშემო გაუკეთდება წითელი ზოლი, მერე ეს სიწითლე თან და თან გაგანიერდება და გაიწევს ტანზე ორსა და სამს იმოდენაზე, რაც თვითონ აფუთქულია, შემდეგ აფუთქულში ჩამდგარი წყალი თან და თან სქელდება და ბალღმდება, ამ დროს ყმაწვილს ეძლევა სიცხე და მადა ეკარგება. შემდეგ კი დაყრილები თითქოს მართლაც ყვავილათ გადაიქცევა. მაგალითად: აფუთქული შუა ალაგას ხმება და ჩარღმავდება. მუწუკი თან და თან ხმება და შუაგული სქელდება, მერე სულ რომ გახმება ჩამოვარდება დასტოვებს დაჭრილს, როგორც ყვავილის შემდეგ. რაკი რომ მუწუკი იწყებს ხმობას, მერე თვითონ სიცხეც გაუვლის და სიწითლეცა. აუტყდება საშინელი ქავილი და მერე მუწუკის ქერტელი ჩამოვარდება.

ამისთანა შემთხვევა ოთხი მაინც მინახავსო ამ ცოტა ხანში ამბობს ზემოხსენებული ექიმი. პირველათ ვნახე ეს ავათმყოფობა ერთს ახალგაზდა ყმაწვილს ქალს ღიმნაზიის შაგირდს გამოჩენოდა, რომელიც შინ ყველაზე უფროსი იყო, თერთმეტი წლისა იყო მხოლოდ. სხვას აღარ შეჰქნია ეს ავათმყოფობა სხვა სამი შემთხვევა თვითონ ჩემს სახლში მოხდაო და აქ პირველათ დაემართა თერთმეტი წლის ყმაწვილს, რომელიც ღიმნაზიაში დაიარებოდა. ეს შემთხვევა გაივლიდა შეუნიშნავათო, რომ ხუთი დღის შემდეგ ორს ყმაწვილს ერთად არ დამართნოდაო ათის წლის ქალს, ისიც ღიმნაზიის შაგირდია და წლის და ნახევრისა ვაჟსა: ეს შემთხვევა ცოტაოდენათ კიდეც გვაცნობებს თუ რამდენს ხანს უდგია ტანში ყმაწვილს გამოუჩენლად და რამდენათაც გადამდებია. ამ ზემოხსენებულს შემთხვევებს გარდა კიდევ ორი ავათმყოფობაზე გავიგონეო, მაგრამ იმათში მხოლოდ ერთი მე თვითონ ვნახეო.

განცხადება.

შინაური ცხოველების საავათმყოფო გაწყობილი აქვთ ცხოველების ექიმებს ბოლოტოვს და სემენოვს ტფილისში ვერაზე, დიღომიდგან რომ გზა შემოვა, პოლკოვნიცის იერუსალიმსკის სახლში, იმ სახლის პირდაპირ, საცა უწინ ქალაქის საავათმყოფო იყო.

შინაურს ცხოველებს მიიღებენ საავათმყოფოში იმ წესით, რომელიც კავკასიის ნამესტნიკმა დაამტკიცა.

1. საავათმყოფოში მიიღებენ ავათმყოფ პირუტყვებს როგორც მოსარჩენათ ისე დარიგების მისაცემათ.

2. ავათმყოფს პირუტყვის ყოველს დროს მიიღებენ და დააბამენ შესაფერს ალაგს საავათმყოფოში. რჩევისათვის კი ავათმყოფი პირუტყვის პატრონები უნდა მოვიდენ და თან მოიყვანონ პირუტყვები დილით შვიდი საათიდგან ცხრა საათამდის და ნაშუადღევს ორ საათიდგან ოთხ საათამდის. აქვე პირუტყვის პატრონებს შეუძლიანთ შეიტყონ, თუ რა ღირსებისანი არიან, ან გამოდგებიან თუ არა იმათი პირუტყვები.

3. ავათმყოფს პირუტყვებს მიიღებენ ან ისე რომ ყოველივე მზათ ჰქონდეს, წამალიც, ექიმობაც ექნეს; საკვებიც და მაშინ სხვა ფასი აქვს, ან არა და თუ მეპატრონეს საკვები თვითონ უზიდა, მაშინ სხვა ფასია დადებული.

4. თუ პირუტყვი სულ საავათმყოფოს ხარჯზე იქნა, მაშინ რამდენათაც ღირება იმისი კვება ერთს დღე და ღამეს ქალაქში. მარტო იმდენს გამოართმევენ, მოკლისთვის დღეში ექვსი შაური. წამლები როცა დაჭირდება იმის ფასი ცალკე უნდა იხადოს პატრონმა აფთიაქში.

შენიშვნა. თუ კი მოიხერხეს საავათმყოფოს უფროსებმა, ქალაქზე უფრო იაფათ ეცდებიან გამოკვებონ ავათმყოფი პირუტყვები და წამალსაც უფრო იაფათ დაუჯდენენ პირუტყვის პატრონსა.

5. რომელი პირუტყვებიც ნახევარ ხარჯზე იქნებიან საავათმყოფოში, იმათზე მარტო მოვლისთვის, წამლობისა და წამლისთვის გადაახდევინებენ ფასს.

6. წამლისა და სხვა წამლობის საჭირო ნივთებს გარდა მოვლისა და წამლობისათვის აგრეთვე საკვებათ ხუთი დღის ხარჯი წინდაწინ გამოერთმევათ მეპატრონეებს.

წამლებისა და სხვა ამ გვარ მასალებისათვის ხუთი დღის შემდეგ ან მაშინ, როდესაც პირუტყვის პატრონი წაიყვანს თავის პირუტყვსა.

7. თუ პირუტყვი მოკვდა, მეპატრონემ უნდა მისცეს წამლის ფული და გადაიხადოს სამი აბაზი ლეშის გადასაგდებათ, ან თვითონ უნდა გაიტანოს და გადააგდოს.

8. რჩევისათვის ყოველ პირუტყვის მოყვანაზე მეპატრონეს გამოართმევენ ორ აბაზს თითო პირუტყვზე. ღარიბი კაცები რჩევას და წამლის დასაწერს უფულოთ მიიღებენ საავათმყოფოდგან.

9. თუ მეპატრონეებს უნდათ შეიტყონ რა ღირსებისაა იმათგან მიყვანილი პირუტყვი საავათმყოფოში, ამისთვის ართმევენ ორ მანეთს თითო პირუტყვზე.

10. დაკოდისათვის ან სხვა ასაცრელ და მოსაკვეთ წამლობისათვის. როგორც ექიმი და მეპატრონე მორიგდებიან ერთმანეთში, ისე გამოერთმევათ.

11. დღეში ერთ ცხენზეა განწესებული: თუთხმეტი გირვანქა თივა, ხუთი გირვანქა ბზე, ათი გირვანქა ქერი, ან შვრია, ხარისა ან ძროხისათვის; ოცი გირვანქა თივა, ან ოცდაათი გირვანქა ბზე, და ორი გირვანქა ფქვილი; ძაღლს ორი შაური დღეში.

12. პირუტყვის მიღებისათვის საავათმყოფოში და ფულის საკვებისათვის მეპატრონეს მისცემენ ბარათს, რომელიც უნდა დაუბრუნდეს საავათმყოფოს უფროსს, როცა თავის პირუტყვს გამოიყვანს.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 2 Апреля 1873 г. გ. წერეთლის და ამხ. (დუმელირის) სტამბა. რედ. და გამომცემელი გ. წერეთელი